

სამოქალაქო განათლება

Max Time Allowed: 20 min

- Q.1)** რომელ იდეოლოგიაზეა საუბარი ტექსტში?
იდეოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური თანასწორობის პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობას; ასევე საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც ასეთ პრინციპებს ემყარება
- A. ლიბერალიზმი
 - B. კონერვატიზმი
 - C. სოციალიზმი
 - D. ნეო-ლიბერალიზმი
- Q.2)** ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორი თამაშობს დიდ როლს პიროვნების სოციალიზაციაში?
- A. ყველა პასუხი სწორია
 - B. ოჯახი, სკოლა და უნივერსიტეტი
 - C. მეგობრები და ოჯახის წევრები
 - D. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები
- Q.3)** რა ეწოდება კლასთა თუ კატეგორიის მიხედვით ადამიანთა ჩაგვრას მათი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე?
- A. შოვინიზმი
 - B. პრეჯუდიცია
 - C. დისკრიმინაცია
 - D. ესკალაცია
- Q.4)** საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი წლის მდგომარეობით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია?
- A. 1918 წლის
 - B. 1991 წლის
 - C. 1921 წლის
 - D. 1995 წლის
- Q.5)** რა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავს სოციალურ გავლენასა და მნიშვნელობას?
- A. კლერიკალიზაცია
 - B. გლობალიზაცია
 - C. სეკულარიზაცია
 - D. ნაციონალიზაცია
- Q.6)** საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა არის ერთ-ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?
- A. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.
 - B. აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულებები.
 - C. 1993 წლის 6 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა.
 - D. 1993 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მიღება.

Q.7) რისი სიმბოლოა ილუსტრაციაზე თეთრი მტრედი?



- A. ძალმომრეობის
- B. ბორტების
- C. ომიანობის
- D. მშვიდობის

Q.8) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:

- A. საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ამის შესახებ.
- B. ამ მოქალაქეს საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება, ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.
- C. ამ მოქალაქემ შეაგროვა მომხრეთა ხელმოწერები არანაკლებ 5 ათასისა.

Q.9) რომელია მართებული?

- I. ღირებულებითი კონფლიქტი დაკავშირებულია გარკვეულ დამოკიდებულებებთან ამა თუ იმ მოვლენის მიმართ
- II. ინფორმაციული კონფლიქტი დაკავშირებულია ინფორმაციის ხარისხთან, დეზინფორმაციასთან

- A. არც ერთი
- B. I და II
- C. მხოლოდ II
- D. მხოლოდ I

Q.10) რომელია მართებული?


- I. რეფერენდუმი ტარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო პლებისციტი შეიძლება ჩატარდეს ქვეყნის გარკვეულ ნაწილში.
- II. რეფერენდუმის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

- A. არც ერთი
- B. მხოლოდ II
- C. მხოლოდ I
- D. ორივე

Q.11) საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა:

- A. ავტონომიური რესპუბლიკები, რაიონები, ქალაქები, სოფლები, დაბები და თემები.
- B. ამომრჩევლები
- C. ხალხი
- D. სამოქალაქო საზოგადოება

Q.12) რუკაზე ნაჩვენებია პრესის თავისუფლების ინდექსით (პთი) ქვეყნების რეიტინგი (ყველაზე თავისუფალიდან - ნაკლებად თავისუფლებისკენ). რომელია მართებული რუკის მიხედვით?



- A. ავსტრალიაში პრესა უფრო თავისუფალია ვიდრე თურქეთში
- B. სკანდინავიის ქვეყნები პრესა ნაკლებად თავისუფალია
- C. ჩინეთში და ინდოეთში პრესა ერთნაირად არის თავისუფალი
- D. რუსეთში პრესა უფრო თავისუფალია ვიდრე მონღოლეთში

Q.13) დასაშვებია თუ არა საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გამეგება?

- A. დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ ჩაიდინა ქვეყნის მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.
- B. დაუშვებელია.
- C. დასაშვებია ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- D. დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში.

Q.14) ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

ახალი ზელანდიის ხელისუფლებამ ქვეყნის ტერიტორიიდან არალეგალი ებრაელი ახალგაზრდების _____ დაიწყო, რომლებიც უკანონოდ მუშაობდნენ სხვადასხვა დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში.

- A. ემანსიპაცია
- B. დეპორტაცია
- C. დევალვაცია
- D. მობილიზაცია


Q.15) რომელი განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიულობის მაჩვენებელს?

- A. საერთაშორისო ორგანიზაციებში არ გაწევრიანება
- B. პრესის თავისუფლების დაბალი ინდექსი
- C. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა

Q.16) რომელი მოვლენა შეიძლება მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით, ასაკობრივად ყველაზე გვიან?

- A. გახდეს სტუდენტი
- B. გახდეს მოსამართლე
- C. გახდეს დეპუტატი
- D. გახდეს პრეზიდენტი

Q.17) მასლოუს ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდაში დაშვებულია უზუსტობა. რომელი ორი ნაწილის გადაადგილებით მიიღება სწორი სქემატური გამოსახულება?




- A. IV-V
- B. II-III
- C. II – V
- D. III- I

Q.18) რა ეწოდება მდგომარეობას, როდესაც ბაზარზე უამრავი მყიდველია და ერთი გამყიდველია და ფასებსაც ის აწესებს?

- A. სრულყოფილი კონკურენცია
- B. ოლიგოპოლია
- C. მონოპოლია
- D. კონკურენცია

Q.19) რომელია მართებული მოცემული რუკის მიხედვით?



- A. ავსტრალიაში მოსახლეობის 30-40% ისლამის მიმდევარია
- B. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა ისლამის მიმდევარია
- C. ჩრდილოეთ ამერიკაში მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილია ისლამის მიმდევარი ვიდრე დასავლეთ ევროპის მოსახლეობა.
- D. საუდის არაბეთის მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილია ისლამის მიმდევარი ვიდრე მონღოლეთის მოსახლეობა.

Q.20) საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმაა:

- A. დემოკრატიული რესპუბლიკა.
- B. საპარლამენტო დემოკრატიული რესპუბლიკა.
- C. საქართველოს რესპუბლიკა.
- D. საპრეზიდენტო რესპუბლიკა.